კვირა 12 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 1 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დიის 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დრის 3 მ, 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 127 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 127

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ქალაქის თეატრი.

კვირას, 12 ივლისს, გაიმართება წარმოდგენა ავათმყოფ

თამარა ივანიძე—ჩარკვიანის ასულის

## სასარგებლოთ

კვირას, 12 ივლისს სოფ. ქვიტირში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

ლუკა მამუკას მის აბულაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე პასიკო ივანეს ასული და შვილები: ვერა, ეკატერინე, ნინა, ბაგრატი და სიძე მათი ვარლამ ივანეს ძე იოსელიანი.

1—1—518.

სობოროსთან, რიჟინაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

## ერქომაიშვილისა და ამხ.

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა

ძლიერ ხელმისაწდომ ფასებში.

10—7 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—7 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით- ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.

ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. გაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან 9 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

## ლუზიტანიის დაღუპვა, ანუ მილიარდერის სიკვდილი.

ა. გარსევანიშვილის წიგნაკი: „მაია — მათე ყაჩაღათ წოდებული„ უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა წიგნის მაღაზიებს გასასყიდათ.

# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალონი უკან იხევენ. მათ დაიწყეს შეტევა მაგარა დაგის რაიონში, მაგრამ დამარცხდენ. რუსის ჯარმა დაამარცხა ეფრატის მარცხენა ნაპირზე გადმოსული ოსმალოთა ჯარი მუშკის მიმართულებით.

ბითლისისა და მუშკის მიმართულებით რუსები სდევნიან ოსმალოებს. ოსმალონი უკან იხევენ და სტოვებენ სამხედრო სურსათს.

შავლის რაიონში გერმანელები თავს იყრიან მიტავა-შავლის გზის დასავლეთით:

ნემანის იქით რაიონში 8 ივლისს დაიწყო ბრძოლები მდ. ესიაზე, კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით.

ნარევის ფრონტზე სასტიკი ბრძოლები გრძელდება სოფ. მროჩკი-კავკისთან.

აქ ყაზახთა ასეულმა აკუწა გერმანელთა ერთი როტა.

ვისლის მარცხენა ნაპირზე რუსები გამაგრდენ ბლონიე-ნადარჟინის ფრონტ და ივანგოროდის მოწინავე პოზიციებზე.

ვისლასა და ბუგს შუა ბრძოლები უწინდებური სიმკაცრით გრძელდება.

გერმანელები მიისწრაფიან ბალჟიცე-ტრავნიკი, ვისლოვიცე და გრუბეშავისკენ, კრილოვიდან დობროტვორამდე სასტიკი ბრძოლები ვითარდება.

სოკალის ზემოთ, პოტურჟიციდან ისტრჟემბცამდე რუსებმა დაამარცხეს გერმანელები და დააცლევინეს მდ. ბუგის მარჯვენ ნაპირი. ტყვეთ წამოიყვანეს 1500 ჯარისკაცი.

# ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

## კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** 9 ივლისი. ზღვის პირის რაიონით 7 ივლისს ღამით ოსმალები შეეცადენ შეტევის დაწყებას მაგარა-დანას რაიონში, მაგრამ ვერ გაიმარჯვე. ოლთისის მიმართულებით სროლა იყო ტევასა და ახას რაიონში. მუშკის მიმართულებით 6 ივლისს რუსების ჯარმა დაამარცხა ოსმალები, რომელიც სოფ. ოდინჩართან გადავიდნენ მდ. ეფრატზე. რუსების ჯარი სდევნის დამარცხებულ ოსმალოებს ბითლისისა და მუშის მიმართულებით. ამასთანავე ერთმა ჩვენმა კალონათაგანმა ხელთ იგდო მებარგული და დიდძალი ნახირი საქონლისა. ოსმალები საჩქაროთ იხევენ უკან და გზა-გზა ჰყრიან საჭურველს. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 9 ივლისი. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბიდან. ოფიციალური. შავლის რაიონში მოწინაამდეგეს ჯარი თავს იყრის მიტავა-შავლის გზატკეცილზე. ნემანის იქით მდეაარე რაიონში 8 ივლისს სასტიკი ბრძოლები ხდებოდა მდინარე ესიაზე- კოვნოდან სამხრეთ-დასავლეთით. ნარიოვის პირზე სასტიკი ბრძოლებია როჟანკას ახლო პოზიციების რაიონში სოფ. მრონჩკი კავკავთან. ერთი საუკეთესო იერიშის დროს კაზაკებმა დახოცეს გერმანელების მთელი როტა მდ. ვისლას მარცხენა ნაპირას რუსის ჯარს უპყრია ბლონე-ნადერჟინ ივანგოროდის მოწინავე პოზიციების პირი. მდ. ვისლასა და ბუგს შუა 8 ივლისს ბრძოლა კვლავ უმწვერვალესად განვითარდა. გერმანელების მთავარი ძალები მიმართულია ბალჟიცე, ტრანვიკი, ვისლოვიცე, გრუბეშოვის მიმართულებით. ზოგიერთი სოფლები და მაღლობები ხელიდან ხელში გადადის. ბუგზე სასტიკი ბრძოლები ვითარდება კრილოვიდან დობროტვორამდე. სოკალს ზემოთ ფართე პირზე რუსებმა განდევნეს მტერი მდ. ბუგის მარჯვენა ნაპირიდან და ამასთანავე ხელთ იგდნს 1500 ტყვე სოფ. პოტურჟიცესთან.

**სევასტოპოლი.** 8 ივლისი. რუსების ნაღმოსნებმა შავ ზღვაზე დალეწეს ორი დიდი ხომალდი ოსმალოებისა, რომელნიც სცდილობდნენ რუმინიიდან სტამბოლში ნავთის გადატანას. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 8 ივლისი. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში ღამით სროლა იყო სუშესა და ნევილის მიდამოებში. სუასონს მთელი ღამის განმავლობაში ყუმბარებს უშენდნენ. აპრემონის ტყეში გერმანელებმა იერიში მიიტანეს რუსების პოზიციებზე ტეტ ილ-ვაშთან და ვოფერისთან, მაგრამ საბოლოვოდ უკუგდებულ იქნენ. გუშინ ვოგეზებში დღისით და ღამით ძლიერ განვითარდა ქვეითა ჯარის მოქმედება. ფეხტის ველის აღმოსავლეთის ნაწილზე მფლობელ მაღლობებზე, ფრანგებმა დაიპყრეს გერმანელების სანგრების ნაწილი და ლენგის ქედისკენ წინ წაიწიეს მცირე მანძილზე. 31 ფრანგმა მფრინავმა გუშინ ყუმბარები დაუშინა სადგურ კონფლინ-ჟარნიხის, ამასთანავე შეამჩნიეს, რომ სამი ყუმბარა 155 მილიმეტრიანი ყალიბისა და ოთხი 90 მ. მ. ყალიბისა სადგურის შენობებს მოხვდა, ერთი ყუმბარა ორთქლმავალის დეპოს მოხვდა. გერმანელების სამი მფრინავი აფრინდა მოწინაამდეგის სადევნებლად, მაგრამ ფრანგებმა ისინი მალე გააქციეს. ერთი მფრინავთაგანი იძულებული გახდა მალე დაშვებულიყო ძირს. ორმა ფრანგმა მფრინავმა გუშინ კვლავ დაუშინა ყუმბარები კოლმარის რკინის გზის სადგურს; ხუთი 155 მილიმეტრიანი და ოთხი 90 მ. მ. ყუმბარა სადგურს მოხვდა.

**პარიზი.** 8 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში სროლა გრძელდება. სუშეს მიდამოებში ბრძოლა ხდება ნაღმებისა და სახელდახელო ყუმბარების შემწეობით. ქვეითა ჯარი მონაწილეობას არ იღებს. არგონის ტყის აღმოსავლეთის პირზე გერმანელებმა მოახერხეს ერთ სანგარში გამაგრება, რომელიც საერთო ხაზიდან განცალკევებ[illegible] იყო. მაასსა და მოზელს შუა სასტიკი სროლა სწარმოებდა ტეტ-დავაშთან. აპრემონის და ლეპრეტის ტყეებში 20 ყუმბარა სენდიესაკენ იქნა გასროლილი.

**ლონდონი.** 8 ივლისი. ლლოიდს პიტერგედიდან ატყობინებენ, რომ გემი „გენერალ-რადეცკი“, დაღუპულა გერმანელების წყალ-ქვეშა ნავის მიერ შოტლანდიის სანაპიროდან 70 ვერსის მანძილზე. 22 კაცი მეზღვაური აქ გადმოვიდა ნაპირზე.

**ათინი.** 7 ივლისი. გაზეთები „პატრისა“ და „ვესტიას“ სიტყვით საბერძნეთის მთავრობა აფრთხილებს ოსმალეთის მთავრობას, რომ იგი იძულებული გახდება ჩასთვალოს დარღვეულად საბერძნეთ-ოსმალეთის ხელშეკრულობა, თუ ოსმალეთში გაგრძელდება ბერძენ მცხოვრებთა დევნა შევიწროება.

კუნძულ ტენედოსიდან იუწყებიან, რომ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მესამე დღეა გრძელდება საშინლად გამწვავებული ბრძოლები, მოკავშირეთა ჯარმა ოსმალთა სანგრების რამდენიმე ახალი წყება დაიპყრეს.

რუმინიით გრძელდება სამხედრო მასალისა და ყუმბარების ჩამოტანა, რომელნიც სტამბოლს გაადიაქვთ. სადგურ პრედეალთან დააკავეს ორი ყუთი დინამიტი, რომელიც ეგზავნებოდა ბუქარესტში მყოფ გერმანიის საელჩოს. დააკავეს აგრეთვე

რამდენიმე ყუთი ასაფეთქებელ ნივთიერებათა, რომელნიც სტამბოლს იგზავნებოდა სხვადასხვა ნივთების სახით, რომელნიც ვითომდა მეფე ფერდინანდის საკუთრებას შეადგენდა. ყუთები დაიჭირა რუმინიის მთავრობამ.

## ქურნალ გაზეთებიდან.

ვისლასა და ბუგის შუა ბრძოლა უკიდურეს ხარისხამდე ავიდა.

ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა შესძლეს იზდებნო და კრასნოსტავის მიდამოებისაკენ წაწევა.

გრაბოვეცთან მტერს სასტიკი იერიში მოაქვს. გრუბეშოვთან ჩვენ მოვიგერიეთ რამდენიმე მტრის იერიში.

—

იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვის ადგილზე დაინიშნა ა. ა. ხვოსტოვი. „რ. ვ."

**მაკენზენის წერილი გენერალ ნაციკაიასთან.**

**კოპენჰაგენი.** „ბერლინ ტაგებ"-ში გამოქვეყნებულია გენერ. მაკენზენის წერილი არგენტინის გენერალ ნაციკაის მიმართ.

„რუსები, სწერს გენ. მაკენზენი, შეუპოვარი მტერი არიან—ისინი აგროვებენ სახალხო საზოგადო ძალას ჩვენდა საწინააღმდეგოთ, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ გერმანია გამარჯვებული გამოვა მსოფლიო ომიდან. „სამართლიანობა, ლოღიკა და ისტორია ჩვენსკენ არის"—იწერება მაკენზენი.

**ოსმალეთის დანაწილება.**

**ტორინო.** გერმანიის ყოფილი ელჩი რომში გრაფ მონტსი მიუნხენის ერთ ერთ გაზეთში სწერს. ინგლის-რუსთა შეთანხმება დარდანელის შესახებ ინგლის-საფრანგეთის ექსპედიციის წინათ მოხდა. ინგლისმა და რუსეთმა უკვე გაიყვეს ახლო აღმოსავლეთი ორ ნაწილათ. რუსეთი იღებს თავისუფალ მოქმედებას ბალკანეთში, უნგრეთსა და გალიციაში და აფართოვებს თავის მფლობელობას ოსმალეთის სამხრეთის შემოერთებით. ამასთან შავი ზღვა ხდება „mare clausum" რუსეთისათვის.

**ომი და ვექილი ქალები.**

შორს არაა ის დრო, როცა საფრანგეთში ვექილს ქალს თეთრი ყვავილით უცქეროდნენ. პირველმა ვექილმა რუსის ქალმა მირ-პოლსკაიამ პარიზს ვექილის სახელწოდებით დიდი ხმაურობა ასტეხა. ამ ახალს მერცხალს სხვებიც გამოეხმაურნენ და დღეს საფრანგეთში მრავალი ვექილი ქალია.

დაიწყო ომი. 15,000 ვექილი მამა კაცი მოქმედ ჯარში გაიწვიეს. ამით შეიცვალა ვექილთა კონტინგენტიც: კაცების მაგივრათ გამოვიდნენ ქალები, რომლებიც მშვენივრათ ასრულებენ თავის მოვალეობას.

არც ერთი პროცესი ამ უკანასკნელ დროს არ იყო ისეთი, სადაც ვექილი ქალი არ ყოფილიყო. მსაჯულთა გადმოცემით, ვექილი ქალები შესანიშნავათ ასრულებენ თავის როლს: დიდის კეთილ-სინდისიერებით და საქმის ცოდნით.

**ჯ ა რ ი მ ა.**

**ვარშავა.** იმ პოლონეთის ნაწილში, სადაც გერმანელები სდგანან, გენერ. გინდენბურგის განკარგულებით, პოლონელ მემამულენი, რომელნიც დღემდე არ დაბრუნებულან თავიანთ სახლში 5 დან—15 პროც. რასაც მამული ფასობს გადასახდი დაედებათ, 4 თვის შემდეგ, თუ რომ მემამულენი არ დაბრუნდებიან თავიანთ მამულში, ხელახლა მათ მამულებს ზემო აღნიშნული გადასახადი დაედებათ. ბ. ვ.

## გენერალ მაკენზენი და მისი ტაქტიკა.

გაზეთ „რუს. სლ." 152 №-ში მოთავსებულია საინტერესო წერილი ვ. ფილატოვისა გენერალ მაკენზენის შესახებ: 1914 წ., როდესაც ლოძის იერიშს ვიხილავდი, ვსწერდი, რომ მაკენზენის სახით „ამოდის ახალი მნათობი".

ლოძის ოპერაცია, ლენჩიცის, სტრიკოვის, ბრეზინის ხაზებში შებრძოლება წარმოადგენს საისტორიო მოვლენას. სანამ საქმე გვქონდა გენერალ გინდენბურგთან, ჩვენ ვხედავთ მშვენივრათ დაყენებულს, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ გერმანულ ტაქტიკას, რომლის მამამთავარი იყო მოლტკე და გენერალი ბერნდგარდი. ამ ტაქტიკის დახასიათება ამ გვარათ შეიძლება: წვრილი, მაგრამ მაგარი ხაზები ცენტრში, სიმაგრეებზე დაყრდნობილი და ჯარების გვერდიდან მოვლა, რომლითაც გაიმარჯვეს ოსტეროდის ომში. ამ ტაქტიკის საპასუხოთ არის ძველი, მაგრამ გადამწყვეტი პასუხი: შეჰრა ცენტრში, რაც ჩავიდინეთ ჩვენ ავგუსტოვის ტყეებში (სექტემბერში 1914 წ.) ჩვენ გავარღვიეთ ცენტრი ივანგოროდთან მოვიგერიეთ მტრის შემოვლა ვარშავასთან.

მაგრამ ლოდზსთან და გალიციაში მაკენზენის ჯარის იერიშს სულ სხვა ხასიათი აქვს. აქ გერმანელები მოდიან წინასწარ ამორჩეულ გზით და მიიწევენ ერთი წერტილისაკენ, რაგვარ მსხვერპლათაც უნდა უღირდეთ ეს: ეს ჯარის კაცთა დამღუპველი ტაქტიკა გამოწვეულია მაკენზენის სისტემით, რომელიც გაიშალა გალიციის ბრძოლაში (1915 წ. მაისში).

ამ ტაქტიკის საფუძველი ახალი არ არის: მანტინეიაში ფიბანელებმა მოაწყვეს ქვეითი ჯარის 50 რიგი და გაანადგურეს სპარტელები. ალექსანდრე მაკედონელმა უფრო გააუმჯობესა ეს და შექმნა 60 რიგის ფალანგა.

ისტორიული მაგალითები ბევრია, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მაკენზენის იმაში გამოიხატება, რომ მან შეძლო შეთანხმება ძველი ტაქტიკისა თანამედროვე სამხედრო ტეხნიკასთან, რაც დღემდე შეუძლებელათ მიგვაჩნდა. მისი არტილერია 3—4 წყებაა: მინდვრის, საშვალო (4,2 დიუმი და გაუბიცები) მძიმე (6—8 დიუმიანი) და გალიციის ბრძოლაში—კი უმძიმესი (9—12 დიუმიანი).

ამგვარად აშენებულ არტილერიასთან ბრძოლა ძლიერ ძნელია. მათ წინააღმდეგ საჭიროა ისეთივე მძიმე და შორს მსროლელი არტილერია, რომ დავსდგათ პირველ ხარისხოვანი მსროლელი საველე არტილერია, ის მაინც ვერ მიაღწევს გერმანულ მძიმე არტილერიასთან. რასაკვირველია, ის დიდს წინააღმდეგობას გაუწევს, მაგრამ ერთხელ თუ აღმოაჩინა ის მძიმე არტილერიამ, დაუზარებლათ განადგურებული იქნება. ამიტომ მაკენზენის დამარცხებისათვის ჩვენ უნდა გვქონდეს მრავალი მძიმე და შორს მსროლელი არტილერია.

მაკენზენის საქვეითო ტაქტიკას განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ ნოემბერში [illegible] მოვდიოდით და გავიძახოდით: „მოხოხავენ ტყვიის მფრქვეველებზე" „კოლონნებით მოაქთ იერიში". ასეთი იერიშები ყოველთვის ეჭვს მგვრიდა, რადგან ახლოს არასოდეს არ მინახავს გერმანელების იერიში. ეხლა კი გალიციაში ვაკვირდებოდი, თუ როგორ იბრძვის გერმანელი ქვეითა ჯარი და ვაღიარებ, რომ მათ ეს ბრძოლა ძლიერ კარგათ აქვთ დაყენებული.

ჯერ ისინი ამზადებენ სასტიკი არტილერიის ცეცხლს, რომელიც იფრქვევა ჩვენს თხრილებზე და ამავე დროს ქვეითა ჯარი იკრიბება საიერიშო ადგილის მახლობლათ. ამისათვის ირჩევენ ტყეს, ბუჩქებს, ან ხრამებს და თან და თან ახლოვდება საჭირო რიცხვი ჯარისა: როტა, ბატალიონი თუ პოლკი. ისინი ძლიერ ფრთხილათ იკრიბებიან და ისე საჩქაროთ უშენენ ხოლმე სასტიკ არტილერიას თხრილებს, რომ ჩვენი ჯარის კაცნი ვერ ახერხებენ მოხერხებულათ სროლას.

ამ ნაირათ მაკენზენის სამხედრო ტაქტიკა ასეთია.

ჯერ არტილერია ანვითარებს უსასტიკეს ცეცხლს, ამავე დროს ჯარი თავს იყრის საბრძოლველ მიდამოებში. თუ რომ მარტო ერთი არტილერიით დამარცხება არ ხერხდება,—რასაც ხანდახან გერმანელები ახერხებენ კიდეც, მაშინ მათი ქვეითა ჯარი თავს იყრის თხრილებთან და გადადიან იერიშზე. ასეთი ტაქტიკა შესაძლებელია, მხოლოდ გერმანულ არმიაში, სადაც ყველაფერი გამოანგარიშებულია, სადაც თავის დროზე მიაწვდიან საჭირო ტყვიაწამალს".

## ნეიტრალიტეტი და ნაციონალიზმი.

**ომიანობამ** ეს ორი პრინციპი—ნეიტრალობა და ნაციონალისტობა—ყველგან და ყველაფერში წინ წამოაყენა;

განათლებული კაცობრიობა ომისალმა მოიცვა და სახელმწიფოები, ერები, კლასები ამ ორი პრინციპის მიხედვით დაირაზმენ!

მაგრამ, რადგანაც ერთი სახელმწიფოში რამდენიმე ერი და კლასი შედის, რომლებიც ხშირათ ერთ მეორის მოწინააღმდეგე პოზიციაზე დგანან, ამიტომ თითქმის ყოველ სახელმწიფოში დიდი რყევა-უთანხმოება დაიბადა და ზოგი მათგანი თავის ბანაკს ბოლომდის ვერ შერჩა და მოწინააღმდეგეთა რაზმში გადაბარგდა. ასე მოუვიდა მაგალითად იტალიას და შეიძლება დღეს თუ ხვალ ბალკანეთის სახელმწიფოებსაც ასევე დაემართოთ. როგორც დეპეშებიდან ვიცით შვეიცარიაში დღეს ნეიტრალიტეტის გამო დიდი შინაური ბრძოლაა გაჩაღებული.

ყველგან სახალხო [illegible] თავენ ესრეთ წოდებულ „ინტერესანტების" წინააღმდეგ.

ყველაზე მეტი სიმტკიცე გამოიჩინა შუაგულ ევროპის ერთმა პაწია სახელმწიფომ, რომელიც რამდენიმე ევროპიელ ერისაგან შედგება და რომელიც ქებულია თავისი დემოკრატიზმით. ეს არის ევროპის უმშვენიერესი კუთხე, პაწია შვეიცარია.

დღევანდელი მსოფლიო ომის გრიგალი ამ სახელმწიფოს გარშემო ტრიალებს: მისი მძაფრი ტალღები ხშირათ ეხეთქება ხოლმე შვეიცარიის ბუმბერაზ სალი კლდის კედლებს. მაგრამ დღემდე ის მაინც მტკიცეთ დგას თავის პოზიციაზე: ბოლომდი იცავს თავის „ხელშეუხებელ ნეიტრალიტეტს" და ეს უმთავრესათ მის შეურყეველ საუკუნეებით განმტკიცებულ **სახელმწიფოებრივ დემოკრატიზმს** მიეწერება.

რა გავლენა მოახდინა მასზე მეორე პრინციპმა—ნაციონალიზმმა?

შეიძლება თამამათ ვთქვათ, რომ ყველა მეომარ და არა მეომარ სახელმწიფოთა პოზიცია ანუ თვალსაზრისი ომის შესახებ **ნაციონალისტურია**.

მართალია **არიან** აშკარა იმპერიალისტები, მაგალითათ გერმანელები, რომლებიც პირდაპირ ამბობენ: „გერმანია (და არა ნემცები) ყველაზე მაღლა უნდა იდგესო"; მაგრამ სხვა ყველა სახელმწიფოებში იმპერიალიზმი ეროვნული პრინციპის სახით არის წარმოდგენილი.

მაგალითათ ინგლისში, საფრანგეთში და რუსეთშიაც მხოლოთ ერთს გაიძახიან: „სამშობლო განსაცდელშია. **საერთო სამშობლო** უნდა დავიცვათ და ევროპა ტევტონების მტარვალობისგან უნდა გავათავისუფლოთო".

შვეიცარია როგორც დემოკრატიული სახელმწიფო მართალია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაადგა, მაგრამ დღეს, როგორც ორ მოპირდაპირე ერისაგან შემდგარი-ფრანგებისა და ნემცებისგან—ნაციონალისტური პრინციპის გავლენასაც განიცდის: იქაც ნაციონალური უთანხმოება—უკმაყოფილება ატყდა, რასაც სახელმწიფოს განხეთქილების გზაზე აყენებს. სჩანს ომის გამო ევროპის ნაციონალიზმი შვეიცარიის დემოკრატიზმზე, სხვანაირათ—ამავე ევროპის ინტერნა-

## ლადო გზვანელს

(პასუხად) *)

პასუხს თხოულობს სალამი—
საკაცობრიო წესია—
მადლობას გიძღვნი, მუშაკო,
ამის გამო ვსთქვი ლექსია.
მასწავლებელის ბედზედა
მრავალჯერ დამიკვნესია,
ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა
თესლი კეთილი ხატია!
თანამოძმენიც გიცოცხლოს
ვინაც გიდგანან გვერდშია;
რა უყოთ მასწავლებელი
დღეს არა ფასობს ჩვენშია,
თუმცა ხსნა ჩვენის ერისა
მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია,
სული გასუქდეს ბევრით სჯობს,
ვიდრე გასუქდეს ლეშია!

გიგა ფშაველა.

*) „განათლება" № 5).

## ქ ა ლ ე ბ ი.

ყველა ქვეყნების და ყველა დროების ქალთა ბედი ერთნაირი იყო. მშვიდობიანი ცხოვრება, სავსე ფიალა კმაყოფილ ცხოვრებისა წუდამ ასუსტებდა ქალის შემოქმედებას. როგორც არსება, შექმნილი უფრო ნეტარებისთვის და კმაყოფილებისათვის, იგი მთლად მიდიოდა ამ ნეტარება-კმაყოფილებაში, და როგორც კი ქალი ამ კმაყოფილება-ნეტარებას გრძნობდა—მისთვის იწყებოდა რეაქცია სულისა. არც ადამიანებში, არც მით უმეტეს ცხოველებში, თქვენ ვერ ნახავთ სულდგმულს, რომელიც ისე აფასებდეს თავის ბინას, კერას ოჯახურ ცხოვრებისას. ეს არის განსაკუთრებული თვისება ქალის სულისა.

მაგრამ [illegible] იყო ხოლმე ახალ იდეათა გამოჩენა, მოძრაობათა აღმოცენება, რომელთაც მთელი პროგრესი სდევდა თან და ქალებიც შლიდნენ თავის მყუდრო ბინას. ყველამ უწყის, რომ სიყვარულში ქალი მამაკაცზე „უფროსია". ეს გამომდინარეობს ქალის აღტაცებულ თვისებათაგან. ეს თვისება საზოგადოთ ასპარეზზედ უფრო გაათაკეცებულის უნარით სდევდა მას და ამიტომ საზოგადო ასპარეზზედ მას ვხედავთ მთელ იმ ბრწყინვალე შარავანდედით, რომელიც მხოლოდ ქალის სახეს თუ შეუძლიან შემოიკრიბოს თვის გარშემო.

რენესანსი და საფრანგეთის დიდი რევოლიუცია ამის მრავალ უეჭველ მაგალითს იძლევა. იტალიის რენესანსმა პირველად ქალი გამოიყვანა მაშინდელ სხოლასტიკურ ჯურღმულოდან. მაგრამ ეს მხოლოდ ცალმხრივ არის მართალი. ქალებმა თვით გააღეს სარკმელი თავიანთ ბნელ ოთახებისა, რაკი რენესანსის ცრა თვალთა მზემ ამოანათა. მაშინდელ ქალს ცოდნა ნაკლები ჰქონდა, მაგრამ როგორც ეხლა, ისე მაშინ, მასში ბევრი იყო ინსტიქტი და ინტუიცია. ინსტიქტით მათ იგრძნეს რომ პეტრარკა და ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი და მიქელ-ანჯელო დაბადებულნი იყვნენ და შემკულნი მთელის თავისის ქალურის მშვენიერებით, თვით გამოვიდნენ მათ შესახვედრათ, მთელი მხატვრობა, რომელმაც იქიდან ჩვენამდის მოაღწია სურათებია მაშინდელ ქალებისა. ინტუიციით კი, რომელიც ყველაზე უმაღლესი ნიჭია სხვა ნიჭთა შორის, ისინი უცბათ გახდნენ თანაზიარნი მაშინდელის მაღალ კულტურისა.

რამდენად წაიწია მაშინ ქალმა, რამდენათ გადა ხვაფერდნენ ისინი და რამდენათ ამოავსეს უფსკრული მამაკაცსა და ქალს შორის—ამის მაჩვენებელია ის სახელწოდებაც, რომელსაც უწოდებდნენ მაშინდელ გონება განვითარებულ და განთავისუფლებულ ქალებს. მათ უწოდებდნენ Virago-ს—კაცურ ქალს. მაშინდელ იტალიაში Virago-ს ტიპის ქალი მრავალი იყო. მათ განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა მაღალი გონებრივი განვითარება, მეცნიერების ცოდნა, სარწმუნოებრივი ძიების უნარი და გატაცება ხელოვნებით. ქალები მარტო ამაში კი არ ბაძავდნენ კაცებს, საომრებიც კი ამ ვირაგოთა მამაკაცურს უახლოვდებოდა და ვინ იცის ქალური სახენი იტალიურ ფრესკების მამაკაცებისა რამდენ ქალის, მაშინდელ ვირაგოს, სახეს მალავენ თავის ფერადებში.

არსებითი შედეგი იტალიურ რენესანსისა ეხლაც და მით უმეტეს მაშინ, უფრო ჩრდილოეთ იტალიას ჩნდა. განსაკუთრებით ბრწყინავდა სასახლე ფერარის ჰერცოგ ერკოლესი. მეუღლე ჰერცოგისა რენატა საფრანგეთის მეფის ასული იყო. ჩვენამდის მოაღწია მისმა არა ლამაზ, მაგრამ გონიერ სახის სურათმა. იგი იკრებდა თავის გარშემო, რაც კი თვალსაჩინო იყო მაშინდელ იტალიაში და ევროპაში, მასთან დაჭყო საიდუმლოთ რამოდენიმე ხანი კალვინმა, მას ნახულობდნენ იტალიის პოეტები, იმპროვიზატორები და სარწმუნოებრივი მქადაგებელნი. ეს იყო ხანა სარწმუნოებრივ ძიებისა, როდესაც ადამიანები ვერაფერს გადაწყვეტილს ვერ დასდგომოდნენ. და როდესაც საუკეთესოებზედაც კი ლაპარაკობდნენ: დღეს კათოლიკე, ხვალ კალვინისტი, ზეგ პროტესტანტი და მუდამ კი ატეისტიო. და, რასაკვირველია, მაშინდელ ქალებს რენატას სასახლეში პირველი ადგილი ეჭირათ. აქა ბრწყინავდა ეკატერინე სფორცა, ქალი, რომელმაც იქამდის მოხიბლა თავის გონიერებით მაშინდელი იტალია, რომ ხალხმა Primadona d'italia-ს სახელით მონათლა. აქ იყო პაპი კლიმენტი მესამის ძმისწული კატერინა რენჩი, რომელიც ისე გაიტაცეს სარწმუნოებრივმა საკითხებმა, რომ ბიბლიის შესასწავლათ ებრაული, ბერძნული და ლათინური ენები შეისწავლა. საზოგადოთ ძველ ენათა ცოდნა მაშინდელ ქალებში დიდი იყო და რენესანსის ქალები თავისუფლათ სწერდნენ და ლაპარაკობდნენ ბერძნულ და ლათინურს.

რა შეადგენდა არსებას ამ ქალთა ძიებისას? ყველა ის, რაც საფუძვლათ დაედო აღორძინებისა და რეფორმაციის ხანას. პოლიტიკა, სარწმუნოება, ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება. რამდენათ გაბატონდა ხელოვნება და მშვენიერება მაშინდელ საზოგადოებაში, სჩანს იქიდანაც: რომ ოტტავიანო მაჯი, დამწერი ტრაქტატისა—il legato-სწერდა: დიპლომატმა უნდა იცოდეს ფილოსოფია, ხელოვნება არხიტექტურა, ძველი ენები და ამასთან ლამაზიც უნდა იყოსო.

საფრანგეთის რევოლიუციამ არა ნაკლებ აამოძრავა ქალები. ისინი აქ უფრო მომზადებულნი გამოვიდნენ, რადგანაც რევოლიუციას წინ უსწრობდნენ ბრწყინვალე სალონები განმანათლებელთა დროისა. და თუ აქ ქალებმა მიუხედავათ ამისა მაინც სხვაფრივ გვიჩვენეს თავი, ამის მიზეზი იმ განსხვავებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც იყო რენესანსსა და რევოლუციის შორის. ტერორის გაძლიერებას ქალთა პანიკა მოჰყვა. გამოაშკარავდა ქალის სული, რომელიც ყველაზედ მაღლა სიცოცხლეს აყენებდა. და ქალებმა, რომელთაც ასობით ჰქონდა მისჯილი გილიოტინაზე სიკვდილი, ხერხს მიმართეს.

არსებობს დაწვრილებითი აღწერა მაშინდელ ფრანგულ საპატიმროებისა და პოლიტიკურ დასჯილთა ყოფაქცევისა. ჟირონდისტები და მონტანიარები, რეაქციონერები და ვანდეელები—ქალი და კაცი ერთად ატარებდნენ უკანასკნელ წუთებს სიცოცხლისას. მაშინდელი კანონი ორსულ ქალს მშობიარობამდე სიკვდილიდან ათავისუფლებდა და ქალებმაც ხერხს მიმართეს. საპატიმროებში, სადაც ქალები და კაცები ერთად, იყვნენ—მეძაობა განვითარდა, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუძლიან შეასუსტოს ის შარავანდედი, რომლითაც გარშემორტყმულია სახე საფრანგეთის რევოლუციის დროის ქალისა. მ—მ როლანი, დიუ ბარრი, მეუღლე რევოლიუციის პოეტის კამილ დემულენის და ათასი კიდევ სხვა, შუქია უკვე ჩასვენებულ მზისა, რომელიც თვალს აღარ ალამაზებს, მაგრამ მოგონებას ათბილებს.

ჩვენში? ჩვენშიც ქალები განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონალიზმზე—უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მისი ნეიტრალიტეტის სიმტკიცეც შეარყია.

ამას ამ უკანასკნელ დღეებში შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოში გამართული კამათიც მოწმობს, რომელიც ნეიტრალიტეტის საკითხს შეეხებოდა.

„თქვენ გსურთ თქვენი ლამაზათ გამოქანდაკებული ლათინური თავი ლამაზათ შეინახოთ, ნება მოგვეციო ჩვენი მიუხედავი, მაგრამ საკმაოთ სეროიოზული გერმანული თავი ჩვენც შევინახოთ“.

გულგამკეხებით შესძახა ეს სიტყვები საბჭოს კრებაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა გოფმანმა (გერმანელმა) დეპუტატ სეკრეტანს, (შვეიცარიელ ფრანგს) რომელმაც მთავრობას პრესის შევიწროვებისათვის პასუხი მოთხოვა. რომ გამოიწვია ეს მოთხოვა ან რომ ალაშფოთა ასე შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენელი?

საქმე იმაშია, რომ შვეიცარიისათვის, რომელიც მოპირდაპირე ერებისაგან შედგება, ნეიტრალიტეტის დაცვა აუტანელი შეიქნა. ნეიტრალიტეტი მას აკისრებს, რომ საზედისწერო ბრძოლის უსულ-გულო მაყურებელი გახდეს მაშინ, როდესაც ბრძოლის ველზე მისი მონათესავე, მისივე კულტურის ერები სისხლს ღვრიან და ყოველივეს: წარსულს და მომავალს ომის სასწორზე დებენ.

ერთის გამარჯვება, მაგალითათ ინგლისის, დიდ აღტაცება-სიხარულს გამოიწვევდა შორეულ ავსტრალიაში, ხოლო გერმანიის დამარცხება ამერიკის ნემცების გლოვა-გოდებას დაბადებდა; და ამ დროს შვეიცარიის ერებს-იტალიელებს, ფრანგებს, ნემცებს-ნეიტრალიტეტი ავალებს, რომ არც ერთმა მათგანმა არც სიხარული, არც თანაგრძნობა თავისი მხრით არ გამოამჟღავნოს. განა ეს შესაძლებელია?

ცხადია რომ არა!

და აი ამიტომაც შვეიცარიის პრესა ომის გამოცხადების შემდეგ მალე ახმაურდა; განსაკუთრებით მაშინ, როცა გერმანელებმა ფრანგების ხუთი გუბერნია დაიკავეს და პარიზსაც დაემუქრენ. მაშინ აღმოჩნდა, რომ „ნეიტრალიტეტი „ლათინურს და გერმანელ თავს“ თავისებურათ ესმოდა. საერთოთ ისინი აღიარებენ „პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს“, მაგრამ რაც შეეხება აზრსა და გრძნობას თვითეული მათგანი ერთ მეორისგან დიდათ განსხვავდება.

„პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“ ეს სახელმწიფოებრივი პრინციპია და შვეიცარია როგორც სახელმწიფო, კიდეც ატარებს მტკიცეთ ამ პრინციპს;

მაგრამ რაც შეეხება ეროვნულ მხარეს, მას როგორც მოპირდაპირე ერთაგან შემდგარს, არ ძალუძს შეიკავოს ეროვნული გრძნობა და არ გადალახოს სახელმწიფოებრივი საზღვარი, არ დაარღვიოს საზოგადოებრივი დისციპლინა; და შვეიცარიელებმა დაარღვიეს იგი. იტალიელები და ფრანგები, როგორც „გრძნობის“ ხალხი პირველათ გაჰყვნენ ევროპის „შოვინისტურ პრესას“ და მის ჰანგებზე იწყეს მღერა; მხოლოთ გერმანელებმა როგორც „დისციპლინის ხალხმა“ შესძლო ნეიტრალობის პრინციპის დაცვა და შვეიცარიის ნეიტრალიტეტს მტკიცე საფუძველი მისცა.

შვეიცარიის მთავრობამ შემოიღო სასტიკი ცენზურა, რომლის დანიშნულება არის ალაგმოს შოვინისტური პრესა და საზოგადოთ „შოვინისტებს“ აგიტაციის საშუალება მოუსპოს, რომ „ნეიტრალიტეტი“ შეურყეველი დარჩეს.

ეს შვეიცარიელ ფრანგ-იტალიელებს არ მოეწონათ და მის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს.

როგორც ხედავთ, ნაციონალისტურმა პრინციპმა მტკიცე ნეიტრალური შვეიცარია არივ-დარია და მოწინააღმდეგე ეროვნულ ჯგუფებათ დაანაწილა. ახლა იქ ერთ მხარეზე დგანან ნაციონალისტური პრინციპის მატარებელნი: ბრესის წარმომადგენლები, ფრანგები და იტალიელები, ხოლო მეორე მხარეზე დარჩნენ მთავრობის პირები და გერმანელები, რომლებიც ნეიტრალიტეტის ბოლომდე დამცველნი არიან.

ნეიტრალიტეტის წარმომადგენლები ამბობენ: „ჩვენ არ გვწამს, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ვისმე ნებას აძლევდეს თავისი სიმპატია რომელიმე მებრძოლ მხარეს გამოუცხადოს. გვგონია რომ მოქალაქეები ვალდებულნი არიან თავისი თანაგრძნობა დაახშონ იმდენათ, რამდენათაც იგი სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება“.

— „არასოდეს! უპასუხებენ ამაზე შვეიცარიელი ნაციონალისტები. ეს მათი აზრით გერმანული წარმოდგენაა, ეს პიროვნების სახელმწიფოსადმი სრული დამორჩილებაა, რაც ლათინების თავში არასოდეს არ შევაო“...

„ჩვენ მოვითხოვთ უფლებას, განაგრძობენ ისინი, რომ **თავისუფალი კრიტიკით** შევეხოთ მიმდინარე ამბებს. მხოლოთ თავისუფლების ნიადგზე შეიძლება იარსებოს შვეიცარიის ერთობრივმა ორგანიზაციამ, შვეიცარიის სახელმწიფოს საფუძველი მისი თავისუფალი დემოკრატიული წყობილებაა და ვინც მის თავისუფლების წინააღმდეგ წავა, იგი შვეიცარიის საძირკველს დაანგრევს“.

ამ რიგათ „თავისუფალი კრიტიკა“, რომელსაც ნაციონალისტები მოითხოვენ, ბადებს შოვინისტურ აგიტაციას; ხოლო ეს უკანასკნელი კი „პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს“ აშკარათ არღვევს. ეს ერთი მხრით. ხოლო მეორე მხრით სასტიკი დისციპლინის პრინციპი პიროვნებას სახელმწიფოს სრულიათ უმორჩილებს, ადამიანს საზოგადოების უსულგულო იარაღათ ხდის და ამნაირათ იმპერიალიზმი თავის საზიზღარ მხარეებს აშკარავებს.

**დ—ელი.**

(ბოლო იხ. მესამე გვ.)

ისინიც ისევე ემორჩილებოდენ მას, რასაც ქალის სულის კანონი უნდა უწოდოთ, როგორც ზემო აღნიშნული ქალები. ამ დღეებში გამოვიდა ალ. გარსევანიშვილის წიგნაკი, სადაც მოთხრობილია ნამდვილი ამბავი ერთის ქართველის ქალისა. ამ წიგნის წაკითხვამ არ შეიძლება წარსული არ მოგვაგონოთ. ეს ალბათ იცოდა თვით ავტორმაც და შესაფერი წინასიტყვაობა გაუკეთა. და წყნეთელ მაიას ყაჩაღ მათეს სახეს იქით, ჩვენს წინ ქართველ ქალთა მთელი წყება დგება, რომელთა მოღვაწეობა მრავალფეროვანია ჩვენს წარსულში. ნურას ვიტყვით თამარ-მეფეზე, რომელთანაც გადამბულია სიძლიერე სახელმწიფო ძალისა და სიმშვენიერე საქართველოს პოეზიისა. მარტო ერთი ქეთევან დედოფალი საკმარისია, რომ მისი სულის სიმამაცე მაღლა დავაყენოთ ყველა იმ ფრანგ ქალებზედ დიდის რევოლიუციისა, რომლებსაც ესეს არის აღტაცებით ვიგონებდით. ნიჰი, გამოჩენილი ქართველ ქალების მიერ, სხვადასხვა სარბიელზედ მრავალფეროვანი იყო. განა მოგონების ღირსი არ არის ის ასულთაგანი ირაკლი მეორისა, რომელსაც შესტრფოდა პოეტი ბესიკი გაბაშვილი და რომელიც ამის გამო უნდა გადახიზნულიყო თბილისიდან. იქ სადაც ეხლა ბოტანიკური ბაღი გადაჭიმულია, ლეღვთა ხევში მეფის ასული პოეტის ლექსებს საიდუმლოთ კითხულობდა და რადგანაც ლექსები მისადმი იყო მიძღვნილი, ისტორია სდუმს, რითი დაასაჩუქრა მან მგოსანი. ისტორია აღნიშნავს განსაკუთრებულ ნიჭს და ცოდნას ვახტანგ მეექვსის ასულისას. ვახტანგ მეექვსის დრო კი საქართველოს გონებრივ გამოღვიძების დრო იყო. ლიტერატურის მიმდევრობა, კანონმდებლობის შემოღება, წიგნების ბეჭდვა—აი რა ახასიათებდა ამ დროს და საკვირველი არ არის, რომ ბაგრატიონთა დინასტიას, რომელიც ერთ უკანეთლებულეს დინასტიათ უნდა ჩაითვალოს, ჰყავდა მაღალ გონიერი ქალები. ერთი ასულთაგანი ირაკლისა, ქეთევანი, თვით იყო პოეტი და სინანულის ღირსია, რომ მისი ლექსი პირველათ არტურ ლეისტის გერმანულ თარგმანში წავიკითხე და ქართულად ჯერ არ შემხვედრია. მისი ლექსი იმავე ლირიზმით არის დაწერილი, როგორც ლექსი ბედკრულ დ ჯერ ახალგაზდა მარიამ სტუარტისა. ის მაშინ საფრანგეთის მეფის კარზედ სცხოვრობდა და თითქოს გულმა უგრძნოო, ამბობდა: მშვიდობით საფრანგეთო, ზღვას იქით ჩემი ქვეყანაა, სადაც არ ვიცი, რა მომელისო. მამის დამარცხებას გამოვლილი ქეთევან ბატონიშვილიც თითქმის გრძნობდა საქართველოს პოლიტიკურ ბოლოს.

აი სახელები, რომლებიც ღირსი არიან მოგონებისა, მაგრამ რამდენის სახელი არ ვიცით! და ეს გასაკვირველი არ არის. არამც თუ ქალების, კაცების სახელებიც მხოლოთ ეხლა მჟღავნდება და ჩვენი დიდებულ ხუროთმოძღვრების და მხატვართა ზოგიერთის სახელებს მხოლოდ ეხლა ვტყობილობთ თავ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიიდან“.

**შ. ამირეჯიბი.**

## „ებრაელების პარტიები“

(დასასრული იხ. „სამშობლო“-ს №-126).

კონფერენციამ მაჩვენა ის, რაც სიონისტების კონგრესმა. მხოლოდ მაოცებდა მათი დიდი პირადობა და სარწმუნოების მტკიცეთ შენახვა და მტკიცე იმედი პალესტინის აღდგენისა. ასიმილაციის მოწინააღმდეგე ერთი სტუდენტი თავმჯდომარეს შეეკითხა: რომ მოხდეს და დიპლომატიამ მოგვანიჭოს ჩვენი ქვეყანა, მოგვეპოვება კი მომზადებული პირები, რომ შევძლოთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიოთ ხალხს?“

თავჯდომარემ მიუგო: „ვინ არის ინგლისის ორი მინისტრი: ლორდ მიტინგს და ლორდ სამუელსი. ვინ არის საფრანგეთში კლაუცი საგარეო მინისტრი; ვინ იყვნენ პრემიერ მინისტრათ და სამხედრო მინისტრათ ლუცატი და ირგინო? განა ესენი ჩვენი ძმები არ არიან? ოცნებით სავსე იმედით აღჭურვილი შვიდ დღეს უკან გამოვესალმე ამ ძვირფას ძმებს, და უფალს შევნატრე ამისთანა ახალგაზდობა მანახვე საქართველოს ებრაელებშიაც—მეთქი. განვლო ორმა წელიწადმა და, ვინ იფიქრებდა, თუ ასე მალე მოხდებოდა ისტორიული მომენტი და წამოუყენებდა ყველა დაჩაგრულებს ახალ იმედს, ნათელ ხანას: ერთის მხრით ყველაზე მეტათ ებრაელების დაზიანებას ომისაგან და მეორე მხრით პალესტინის აღდგენის იმედები. ინგლისის დეპლომატები გადაჭრით გვეუბნებიან: პალესტინა ებრაელებს, უნდა დაუბრუნდესო. ჟურნალ „დე—ნაციონი“ თავისუფლათ მოითხოვს ქრისტიანებისაგან: „თუ აქამდი ქრისტიანობამ ძალიან დაჩაგრა იგი, დღემდე დროა აღუდგინოს მას თავის სამშობლო პალესტინაო“ გუსტავ ერვე ამბობს ფრანგულ გაზეთებში: საფრანგეთმა ყველაზე პირველათ იცნო ებრაელების უფლებაო.

მან უნდა იცნოს ახლაც მისი სამშობლო პალესტინის აღდგენაო, იტალიელები ამბობენ: რომი იყო რომ დაანგრია მათი მშვენიერი ერუსალიმი და სისხლით ხელი გაისვარაო. დროა, ჩვენ ყველაზე მეტათ ვეცადოთ და აღვადგინოთ ჩვენგან დანგრეული სამშობლო, ეგებ ამითი მოვირეცხოთ ისტორიული ცოდვებიო. ამერიკაშიც დიდი მომხრე ყავს ყველა წრეში ამ იდეიას. როგორც ვარშავის „ნაშა გაზეტა“ გადმოგვცემს, მათ რუსეთის ერთ გავლენიან პოლიტიკოსთან ქონიათ ლაპარაკი ებრაელების საკითხზე, მას უთქვამს: „ბევრნაირი აზრი გვაქვს ებრაელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათო. არის აზრი მივსცეთ უფლება ყველანაირიო; არის აზრი სირია პალესტინაში მივსცეთ სრული ეროვნული უფლება ინგლისის პროტექტორატის ქვეშ და ამ აზრს ბევრი ემხრობაო“. შვიდ ივლისს გახდება 1847 წელიწადი ერუსალიმის გაოხრებისა.

სიმართლით ითქმის, წრევანდელი წლის მგლოვიარობა ძლიერი იქნება, რადგანაც ასიმილატორები თუ სიონისტები და ორთოდოქსები ყველანი შეერთებული არიან წელს და თავისი ძველი იმედის განხორციელებას აღფრთოვანებული შეყურებენ.

ნუ თუ, მართლა, დადგება დრო, რომ ებრაელმა მოიწმინდოს ორი ათასი წლის ნადენი ცრემლი? ნეტავ მართლა, გადავალთ 1848 წ. და ის იქნება პატარა ერების ცრემლის მომწმენდი და შველის მომტანი ებრაელებისათვისაც?

ოხ, განგებავ, შენ შესწყვიტე ზარბაზნებთა გრიალი და მის ნაცვლათ გაგვაგონე ყველა ერისა და მათშორის ისრაილის გათავისუფლება.

რაბ. დავიდ **ბააზოვი.**

## ბარბალე ნიკოლოზის ასული ყიფიანი.

(ჩვენი ქალების საყურადღებოთ*)

თანამედროვე გონებრივათ მუშაკთა და განათლებულ ქალთა შორის რომლებმაც თავი იჩინეს თავისი მეცნიერული შრომით და მომავალშიაც დიდ წარმატების იმედს იძლევიან, ითვლება დღეს ჩვენი თანამემამულე ბარბალე ნიკოლოზის ასული ყიფიანი, შვილის-შვილი ქართველი ერისთვის მარად დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანისა.

ბარბალე ნიკოლოსის ასული დაიბადა ქუთაისში 1881 წელს 4 თებერვალს ქართველ მაღალ წრეთა ოჯახში. დედა მისი ანასტასია ასული მიხეილ ერისთვისა ეულლა გონებრივათ სპეტაკსა და ახოვან იურისტს ნიკოლოზ ყიფიანს. ნიკოლოზი კი შვილი იყო ქართ. თ. აზნაურობის წინამძღოლის, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის და პატრიოტის დიმიტრი ივანის ძე ყიფიანისა, რომელიც გადასახლების შემდეგ ვერაგულათ იქნა მოკლული ქ. სტავროპოლში.

ბარბალეს, რომელიც ცოცხალი სურათი იყო თავისი ბაბუასი, ბავშობიდანვე ეტყობოდა არა ჩვეულებრივი სიდინჯე და წიგნებისადმი სიყვარული. ექვსი წლის ბავშვი თვალყურს ადევნებდა ბაბუას ასტრონომიულ კვლევას, ფურცლავდა და ათვალიერებდა მეცნიერულ წიგნებს, საიდანაც, რასაკვირველია, არაფრის გაგება არ შეეძლო. ცხოველ მყოფელი სურვილი ყოველ გვარ მეცნიერულ საგნებისადმი გააღვიძა პაწა ბარბალეში ბაბუამ, რომელიც დიდი მოყვარული იყო მეცნიერებისა. როგორც თვითონ დიმიტრი ყიფიანი იყო გატაცებული გონებრივი მუშაობით, იგივე შესძლო დიდ ბუნებოვანმა ადამიანმა ჩენთო ცეცხლებრივი ინტუიზმი ექვსი წლის ბავშვში ცოდნა მეცნიერებისადმი.

ცხოვრების მძიმე ტრაგედიამ და მისმა შედეგმა ძლიერი გავლენა იქონია მგრძნობიარე ბარბალეზე. მას თავისი დებით აბარებენ თფ. წმ. ნინოს პანსიონში. წმ. ნინოს სასწავლებელში ბარბალე ეცნობა კლასიკებს, კითხულობს მეცნიერულ შინაარსის წიგნებს და თავისი მკვირცხლი ნიჭით იპყრობს საერთო ყურადღებას. პანსიონში ამხანაგებმა ბარბალეს „ჩვენი ფილოსოფოსი“ უწოდეს და ხშირათ მიმართავდენ ხოლმე, რომელიმე მორალურ და მეცნიერულ საკითხის გადასაჭრელათ „მოდი ვკითხოთ ერთი „ჩვენს ფილოსოფოსს“ ო—აბა რას იტყვის და როგორ გასჭრის ის ამ საკითხსო“. იტყოდენ ხოლმე ამხანაგები.

საყვარელ მამასთან გაყრის შემდეგ მისი ერთად ერთი სურვილი იყო, წასულიყო მამასთან ბელგიაში, ეცხოვრა მამასთან ერთად და ადგილობრივი უნივერსიტეტის მედიკურ-ფაკულტეტში შესულიყო, მაგრამ უსახსრობის [illegible] დიდხანს ვერ განახორციელა. მამა და შვილის გაშორება [illegible] ვლო თორმეტმა წელმა და ბოლოს, როგორც იქმნა, მისწვდა მიზანს. ბარბალე თავის დითურთ,—ნინოთი გაემგზავრა საზღვარ გარეთ ბრიუსელში, სადაც სცხოვრობდა მამა მისი. ბარბალემ იქ კარგა ხანს უცადა თავად-აზნაურობის მიერ დაპირებულ სტიპენდიას და მანამ კი ისმენდა ლექციებს; მიყო ხელი პრაქტიკულ მუშაობას m-lle (ქალბატონ) იოტეიკსთან, რომელიც ლექციას კითხულობდა უნივერსიტეტში, ფსიქო-ფიზიოლოგიაზე, პედაგოგიკაზე და პედაგოგიაზე. გარდა ამისა ბარბალე ამავე მეცნიერ ქალის ხელმძღვანელობით მუშაობდა სოლივეის ენერგეტიკის ლაბორატორიაში. სადაც იკვლევდა შაქრის (ავათმყოფობის) გავლენას ორგანიზმზე. როდესაც მიიღო ქართველ თავად აზნაურობისაგან სტეპენდია, მაშინვე შევიდა უნივერსიტეტში და ჩააბარა ეგზამენები საბუნებისმეტყველო-მეცნიერებისა და ქიმიის კანდიტატურაზე.

1906 წ. ბრიუსელის ფიზიოლოგთა და ლიეჟის შაქრის ქარხნის მექანიკთა მსოფლიო კონგრესზე ბარბალე კითხულობდა თავის გამოკვლევათა მოხსენებას. ამავე წელს მან მიიღო თავის შრომისთვის „Ergograiphie du sucre“ ვერცხლის მედალი შაქრის ქარხნის მექანიკთა ასოციაციისაგან; ხოლო პროფესორ იოტეკთან ერთად დასწერა ორი შრომა ვეგეტარიანებზე: ამ უკანასკნელ შრომისათვის დაჯილდოვებული იქმნა პარიზის სამკურნალო აკადემიისგან.

1908 წ. ბარბალე თავის პროფესორის მდივნათ არის და აგრეთვე მფარველათ იოტეიკის ჟურნალი „Psuchologigne“, სადაც ათავსებდა წერილებს ბრმათა ფსიხოლოგიაზე. ამმხრივ ის გამოცდილებას ღებულობდა ბრიუსელის ინსტიტუტში მყოფ ბრმა ყრუ-მუნჯების დაკვირვებიდან, რომლებზედაც ექსპერიმენტებს აკეთებდა. ამ შრომისათვის მან პარიზის ბრმათა შესახებ მოწვეულ კონგრესზე მიიღო მედალი და საპატიო დიპლომი.

ბარბალე შარშან ზაფხულში ჩამოვიდა ბელგიიდან თავის სამშობლოში, ომის გამოცხადებამდის ორი დღის წინ და იშოვა ფრანგულ ენის მასწავლებლის ადგილი თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რის შემდეგ გულმოდგინებით შეუდგა ქართულ ლიტერატურის შესწავლას. ამ ჟამათ ის ქუთაისში იმყოფება.

სულ დაწერილი აქვს მას ფრანგულ ენაზე 21 თხუზულება.

*) სურათი იხილე დამატებაში.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**დეპ. ა. ჩხენკელი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა პეტროგრადიდან თავის ამხანაგებისგან დეპეში მიიღო, რომ სახელმწიფო სათათბირო მოწვეულია 19 ივლისისათვისო. ამის გამო დეპუტატი ჩხენკელი პეტროგრადში გუშინ 11 ივლისს ღამის მატარებლით გაემგზავრა.

✦ **ქართ. საქ. საზოგადოების კრება.** პარისკევს, სიღამოს 8 საათზე, სათავად-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების კრება წყალდიდობით ზარალის გამოსარკვევათ. ხსენებულ საზოგადოებას სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრაში ზარალის დასათვალიერებლათ გაგზავნილი ყავდა გრიგოლ ურატაძე. გ. ურატაძემ კრებაზე წაიკითხა თავისი მოხსენება. როგორც მოხსენებიდან სჩანს ზარალი წყალდიდობით აუნზღაურებელია. სოფ. ზუბი წყალს მთლათ წაულეკავს. სოფელში დაკარგულია 80. მოხსენების მოსმენის შემდეგ საქ. საზოგადოებამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა კავკასიის სხვადასხვა დაწესებულებებში დახმარების აღმოსაჩენათ. აგრეთვე საზოგადოებამ დეპუტატ ჩხენკელს დაავალა აღძრას პეტროგრადში შუამდგომლობა მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებში, და თუ საჭიროება მოითხოვს საკითხი

შეიტანოს სახელმწიფო სათათბიროში. გრ. ურუტაძეს საზოგადოებამ დაავალა რაჭა ლეჩხუმშიც დაათვალიეროს წყალდიდობით მიყენებული ზარალი.

✦ **მგზავრები ბათუმის რკინის გზით.** როგორც ვიცით ამ ორი თვის წინათ ბათუმის სამხედრო კომენდატმა აკრძალა სხვა ქალაქებიდან ბათომში შესვლა თუ ამის ნება არ იქნებოდა აღებული კომენდანტისაგან. ბათომში შესვლის ნებას უნებართვოთ ეძლეოდა მხოლოთ ბათომელ მეაგარაკეებს, რომელნიც დ. ქობულეთში სცხოვრობდენ, ამით სარგებლობდენ სხვა მოგზაურები და სამგზავრო ბილეთებს ქობულეთიდან ღებულობდენ. ამას მთავრობამ ყურადღება მიაქცია და ბევრი მგზავრი დააპატიმრეს. ახლა კი სამგზავრო ბილეთებს კომენდანტის განკარგულებით მხოლოთ ნატანებამდის იძლევიან. უნებართვოთ ბათომში შესვლა სასტიკათ აკრძალულია. უნებართვოთ ბათომში შესვლა არარც ქობულეთის მოაგარაკეებს ეძლევათ.

✦ **არჩევნების დამტკიცება.** მთავრობამ დაამტკიცა ბათომის ქალაქის ხმოსნების არჩევნები უცვლელათ.

✦ **თეატრი.** როგორც დ. ყვირილიდან გვწერენ იქ ამ დღეებში ქართ. მსახიობთა ამხანაგობა მართ მდივანის საბენეფისოთ წარმოადგენს ეგ. ნინოშვილის „ქრისტინეს“. ქრისტინეს როლს შეასრულებს მობენეფისე.

✦ **დ. ყვირილაში.** ზაფხულის სეზონი დასრულდება შუა აგვისტოს რიცხვებში. სეზონის დასრულებისას დასი წარმოდგენების გასამართავათ გაემგზავრება სხვა და სხვა პროვინციებში. დასი ეწვევა აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმსაც: დასს შეადგენს 10 მსახიობი და სხვა სცენის მოყვარეები.

✦ **ახალი წიგნი** ქართველ მაჰმადიანს ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს წიგნი აჭარლების შესახებ. ამ წიგნში იქნება მოთავსებული ყველა წერილები, რომელიც იყო მოთავსებული, ომის დაწყების შემდეგ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აჭარლების შესახებ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს ამ წიგნის გამოცემა მიტომ უნდა, რომ ამით ქართველი მაჰმადიანები უფრო ნათლად გაეცნობიან თუ რა გულშემატკივრობას იჩენდენ მათ უბედურებაზე მათი ძმები ქართველი ქრისტიანები. წიგნები ქართველ მაჰმადიანებში უფასოთ დარიგდება. მიზანი მეტად სიმპატიურია.

✦ **ქუჩების განათება.** ქუჩების განათების საქმე ქუთაისში თანდათან უმჯობესდება. ყველა ფარნებზე მიაკრეს ნომრები. ამისთვის ქალაქის პირველ აფთიაქთან კანტორა მოაწყეს (ნომერი ტელეფონის 15), რომელსაც დავალებული აქვს ყურისგდება, რომ ქუჩები განათებული იყოს.

✦ **საცდელი მინდორი.** სოფ. მინდიკორის საზოგადოებაში აარსებენ მყნობისათვის საცდელ მინდორს. ამ მიზნისათვის მესამე რაიონის აგრონომს რამდენიმე ქცევა მიწას უსასყიდლოთ აძლევს აკაკი და კონდრატი სერგის ძე მხეიძეები.

✦ **პარკი.** აბრეშუმის პარკის შემოსვლა ქუთაისში უკვე შეწყდა. დღემდის ქუთაისის ბაზარზე შემოსულა 6,000 ფუთი პარკი. შარშან პარკი ორი ზომა შემოვიდა.

✦ ქუთაისის ეთნოგრაფიულ და საისტორიო საზოგადოებას თავ. კონსტანტინე სიმონის ძე ერისთავმა შესწირა 1837 წ. დარაიის ერთი პერანგი. და ერთი ძვირფასი თვლებით შემკული მე XI საუკუნის ჯვარი. ამ ჯვარის შესახებ მოკლე ცნობები გადასცა თავ. ერისთავმა საზოგადოების მდივანს ტ. მარგველაშვილს.

✦ როგორც დ. ჭიათურიდან გვწერენ იქ ვაჭრები დიდ თავგასულობას იჩენენ სანოვაგეს მალავენ და შემდეგ სამ ფასათ ჰყიდიან.

✦ **პურის ფქვილი.** ქუთაისში პურის ფქვილი მეტად გაძვირდა. ფქვილი უმეტესათ მოდის მოშიაშვილს, მაგრამ როგორც მეპურეები გადმოგვცემენ მოშიაშვილის პურის ფქვილი ცუდი ღირსების გამოდის.

✦ კვირას, 12 ივლისს, იმართება წარმოდგენა, რომლის შემოსავალი [illegible] თმყოფი თამარა [illegible] სანატორიუმში მოსა[illegible]. რადგან პატივცემულმა ქუთაისის ქართულმა საზ[illegible] კარგათ იცის ამ ბავშის გარემოება, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, პატივი გვცეთ და დაესწროთ წარმოდგენას და მით მოგვცეთ საშუალება ვიხსნათ ბავში საშინელის სენისაგან. ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ამ წარმოდგენისთვის თეატრის დარბაზი დათმო უფასოთ.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ მეორე წერილს „რედაქციის მიმართ“ ქვეშ უნდა ეწეროს **სიმონ ხუნდაძე**.

## კიდევ უნდა გავიმეორო!

(შემდეგი, იხ. „სამ.“ № 126.)

დიახ, ქართული ენა ქართველი მოწაფისათვის არა სავალდებულო საგნად უცვნიათ. აქედან გამომდინარეობს ის აბუჩად აგდება, ის სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფა, რასაც სრულიად დაუმახურებლად ღებულობს ეს ენა შინაურთაგან და გარეშეთაგან.

აბუჩად იგდებს ამ ენას ქართველი მშობელი. ეს უკანასკნელი რვა ათი წლის განმავლობაში მთელ თავის ძალისა და საშუალობას ხმარობს და მოსწავლე-შვილს ხელს უწყობს: იჭერს მასწავლებელს, ამზადებს შვილს, შეყავს სასწავლებელში, ქირაობს რეპეტიტორებს, თუ, რასაკვირველია, ბავშვი სუსტობს ამა თუ იმ სავალდებულო საგანში. თითოეული საგანი საშუალო სასწავლებლის პროგრამის ქართველი მშობლის საზრუნველ რამედ გამხდარა; თითოეული ორშაბათი ქართველი მშობლისათვის გამახარებელი ან დამაღონებელი დღეა: ამ დღეს ის მოელის შვილის ნიშნებს. ქართველი მშობლის სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ მის შვილს კარგი ნიშანი აქვს რუსულში, ნემეცურ-ფრანგულში ან სხვა რომელიმე სავალდებულო საგანში; ქართველი მშობლის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, თუ მისმა შვილმა ცუდი ნიშანი მოიტანა რომელიმე სავალდებულო საგანში.

ქართულ ენაში კარგი ან ცუდი ნიშანი მოწაფის მშობელში არ იწვევს, სამწუხაროდ, არც სიხარულს, არც მწუხარებას.

ქართველი მშობლების უმრავლესობა, ჩვენდა სასირცხოდ, გულგრილად მიჰყურებს ქართული ენის შესწავლის საქმეს: სწავლობს მისი შვილი სამშობლო ენას თუ არა, აქვს ამ ენის შესასწავლად უსაჭიროესი ნივთები, თუ არა — ეს ქართველ მშობელს, ვიმეორებ, ბევრად არ აფიქრებს და აწუხებს.

ეს ხომ გადაგვარების ნიშანია! ეს ხომ თავის თავის არცნობაა! და ამ სამწუხარო მოვლენის უმთავრეს მიზეზად მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ის, რომ ქართული ენა არ არის ცნობილი სავალდებულო საგნათ საშუალო სასწავლებელში.

აბუჩად იგდებს ამ ენას ქართული ენის მასწავლებელი. ხშირად ქართული ენის მასწავლებლის როლს საშ. სასწავლებელში ასრულებს ის ადამიანი, რომელსაც ქართული ენის ბევრი არაფერი გაეგება. ამ გვარ შემთხვევებში ქართული ენის მასწავლებლის როლი გამოიხატება გაკვეთილზე გასვლით და ბინაზე დაბრუნებით.

აკეთებს რასმეს ქართული ენის მასწავლებელი? მოაქვს რამე სარგებლობა, დღევანდელ პირობებში, ამ ენისათვის? ამაზედ თვით ქართული ენის მასწავლებელმა დალაპარაკოს, თუ მას სიწითლე არ დაუკარგავს, თუ ის კიდევ არ შერიგებია მშობლიურ ენის უნუგეშო მდგომარეობას.

ან კი რა უნდა გააკეთოს ქართული ენის მასწავლებელმა კარგი მცოდნეც რომ იყოს ის ამ ენის? რა ქნას მან, როცა თანაგრძნობას ვერ ხედავს იგი სასწავლებლის პატრონ-პატრონებში, ქართველ მოწაფეებში და ქართველ მშობლებში. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზად მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ის გარემოება, რომ ქართული ენა „მეცამეტე გოჭადაა“ ცნობილი საშუალო სასწ. პროგრამაში, რომ ეს ენა ქართველი მოწაფისათვის არა **სავალდებულო საგანია**.

**გორგი.**

## ზემო-ქართლის ამბები.

(მგზავრის შენიშვნები)

ივნისის უკანასკნელ კვირაში ზემო ქართლში გავიარე; მაისში და ივნისში წვიმიანი და ცივი დღეები იდგა; ჩემს იქ ყოფნის დროს საგრძნობლად ციოდა, უპალტოოთ ვერ გავძელი. პირნახული ჯერ-ჯერობით იმედს იძლევა: ხაშურის, ზემო-ჭალის, ცხრა-მუხისა და სურამის ჭალები დავათვალიერე, კარგი სანახავია ჯეჯილი და კარგი მოსავალიც მოჰყვება, თუ აწ მზიანი დღეები დაუდგა.

მიწის ნიადაგი, განსაკუთრებით მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალებში, მეტად ნაყოფიერია, შედგება შავი და ფხვიერი მიწისაგან, რომელსაც ხშირი წვიმები მაინც და მაინც არ უხდება, მაგრამ ორიოდე კვირა რომ დააგვიანდეს, მაშინვე გამოგვალევს. მდინარე მტკვარი გადიდებული იყო, მარცხენა ნაპირას საყანე მიწა ალაგ-ალაგ ბლომად წაეღო; ჩამოვჯექი და ერთხანს ყური დაუგდე იმის ღუღუნს; მომაგონდა განსვენებული ნ. ბარათაშვილის სიტყვები: „ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“ სიმშილობას აქეთ ადგილი არა აქვს: სანოვაგე ქუთაისთან შედარებით არ არის ძვირი: სიმინდი ფუთი იყიდება ექვს აბაზათ, ხორბალი კი 7—8 აბაზათ, ხორცი პირველი ხარისხისა გირვანქა 18 კ., პურა თეთრი ოყა—18 კ., ყველი ლიტრა (10 გირ.) 1 მ. 50 კ., ღვინო ჩაფი—5 მან.—

მოაგარაკენი ძველებურად აღარ იყვნენ, რაც უნდა მივაწეროთ სიცივეს და თან ომიანობას. სახლების მეპატრონეები ჯავრობენ: „ჩვენი დაჩები წელს ვერ წავიდა ხოდშიო.“ სურამი დადუმებულია; ჯარები აღარ დგას. მოაგარაკენი ნაკლებად არიან; „პარკი“ დაცალიერებულია, არავინ არის სეირნობის გუნებაზე; მოწყენილი აგარაკს დაჰყურებს მაღლიდან დიდებული „სურამის ციხე“; გარშემო სიჩუმეა.

შევიხედე ხაშურის საზოგადო და მიხაილოვის დეპოს ბიბლიოთეკებ-სამკითხველოებში; პირველი ღარიბია ჟურნალ გაზეთებით, მეორე კი მდიდარი; პირველისათვის საჭიროა რედაქციებისაგან თანაგრძნობა.

მიხაილოვის დეპოში დავათვალიერე 18 ივნისს სადგ. მოლითში დაჯახების დროს დამსხვრეული ორთქლმავლები და ვაგონები; როგორც გადმოსცეს, საქმე ასე ყოფილა: თბილისიდან მომავალა სახალხო მატარებელი № 9, ყვირილიდან კი საბარგო მატარებელი, რომლის მემანქანეს დასძინებია, სადგურში შესვლა ვერ გაუგია და გასცილებია სადგურს; ამ დროს თბილისიდან მომავალი სახ. მატარებელი უნდა შემოსულიყო სადგ. მოლითში; როგორც კი შეუნიშნავს ამ მატარებლის მემანქანეს დაბლიდან მომავალი ორთქლმავალი, შეუჩერებია სახ. მატარებელი, მაგრამ ამ დროს მას საბარგო მატარებლის ორთქლმავალი და დამსხვრეულა, როგორც ორთქლმავლები ისე ორ ორი ვაგონი; სახალხო მატარებელზე დაშავებულა ერთი ჟანდარმი და ორიოდე მგზავრი.

საქონლის მატარებლის მემანქანე ყოფილა ეროვნებით ბერძენი, 25 წლის ნამსახური და ყოველთვის ფხიზელი, მაგრამ ამ ღამეს ისე მოსვლია; ის ჩამოყენებულია სამსახურიდან და პასუხის გებაშია მიცემული.

24 ივნისს ს. ცხრამუხაში სცოდნიათ დღეობა „ივანობა“, მაგრამ ეს ერთი ხანია მცხოვრებლებს უბრალო ხარჯისათვის თავი დაუნებებიათ და დღეობის მაგიერ შემოუღიათ იმ დღეს „იარმუკობა“- დავესწარი მათ ბაზრობას; აუარებელი ხალხი მოაწყდა მახლობელ სოფლებიდან; სცოდნიათ ვაჭრობა ცხენებით, ხარებით, ძროხებით და **სხვა შინაური საქონლით.**

**ლადო ბზვანელი.**

## დაბა-სოფელი.

**ზემო რაჭა.** ბუნებასთან ერთად არც პეტრე ომანიძემ დაინდო ხალხი; თითქმის გადააჭარბა კიდევაც ხალხისადმი ზარალის მიყენებაში.

ეს ის პეტრეა, რომელმაც ხუთი წლის წინეთ, დღიდან თავისი თავის „მოციქულათ“ გამოცხადებისა დაარსა დღესასწაული, 29 ივნისს სადღაც მიუვალ ტყეში, საიდანაც პეტრე ყოველ წლობით გალაღებული ბრუნდებოდა თავის სახლში. წლევანდელმა წელიწადმა ხომ გაუორკეცა პეტრეს შემოსავალი. ვგონებ ჯერ-ჯერობით გლეხთაგანს ისე არ უსარგებლნია ომიანობით, როგორც პეტრეს. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ პეტრე თმაწვერ გაშვებული, მღვდლის ქუდით შემოსილი და დიდი ჯოხით ხელში, დაძრწოდა სოფელ-სოფელ, ეწვეოდა იმისთანა ოჯახებს, სადაც მარტო დედაკაცები ეგულებოდა ან რომელ ოჯახიდანაც ჯარის კაცი იყო წასული საომრად. აი სწორეთ აქ პოულობდა ნიადაგს იმის სისულელით ავსილი ქადაგი. გულუბრყვილო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედა ან ცოლი ჯარის კაცისა, წყალწაღებულივით ებღაუჭებოდა პეტრეს სიტყვებს: „ილოცეთ ჩემზე, მე კი მამაჩემს— ღმერთს ვეტყვი და უვნებლათ დაგიბრუნებსთ ომიდან შვილსო“. იმ იმედით, რომ პეტრე დაუბრუნებდა მას ერთად ერთ მარჩენალს და მერე შვილს დედა არაფერს არ ზოგავდა, ასაჩუქრებდა და თანაც ჰპირდებოდა ცხვარს დღესასწაულისთვის. ამ რიგათ და ამ გზით მრავალი ცრუ-მორწმუნე ხალხი მოამზადა დღესასწაულის შესახვედრათ. არ გაუცრუვდა პეტრეს იმედები; უზომო ხალხი მოაწყდა თხა-ცხვარით, ქათმებით და ხაჭაპურებით დატვირთული „პეტრეს კლდეს“. თუმცა პეტრე, მაზრის უფროსის განკარგულებით ერთი დღით დააპატიმრე, მაგრამ ამითი არ შეფერხებულა დაბევებული შემოსაწირის მიღება. ამ დღეს პეტრეს როლს ასრულებდა მისი ცოლი, რომელიც პეტრეს მსგავსად ლოცვა-კურთხევით ისტუმრებდა შემომწირველებს.

მლოცველების გარდა აქ ბლომათ მოეყარათ თავი არა მლოცველებს, ზოგი მოსულიყო სეირის საყურებლად და ზოგიც კი საქეიფოდ. ამ დღეს ბრალიანი და უბრალო ყველა მიკიტანი გამხდარიყო, ჩამოემწკრივებიათ ურმები ავსილი ტიკებით და უმასპინძლდებოდენ მოქეიფე ძმობიჭებს ათასნაირათ ნატანჯი ღვინით და ისიც მამასისხლათ. ამ გვარად დიდი ზარალი მიაყენა წელს პეტრემ ხალხს.

სასურველია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას ვისგანაც ჯერ არს. ერთხელ და სამუდამოთ აუკრძალოს ხალხს იქ სიარული, რითაც ეს ღვთის საწინააღმდეგო და ხალხისთვის საზარალო დღესასწაული მოისპობა. პეტრე კი დაითხოვოს, მოაშლევინოს სოფელ სოფელ წანწალი, თორემ [illegible] მანამდის, [illegible] წე, უკანასკნელ ტყავს გააძრობენ ისედაც გაძვალტყავებულ გლეხს.

**ა. პაპიძე.**

## მოწოდება.

როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, განსვენებული ბელლეტრისტი ეგნატე ნინოშვილი დასაფლავებულია გურიის ერთ მივარდნილ სოფ. ჩანჩეთში (ჩოჩხათის საზოგადოება).

მიმდინარე წელს, ადგილობრივი ინტელიგენციის მეცადინეობით აქ დაარსდა უფასო წიგნსაცავ სამკითხველო ეგ. ნინოშვილის სახელზე. სამწუხაროთ, ხსენებულ სამკითხველოს წილად ხვდა დაარსება ისეთ ხანაში, როცა ხალხის ფართო მასსა უკიდურეს სიღარიბესა და სხვა მრავალ გაჭირვებას განიცდის. ცხადია, ასეთს პირობებში ჩავარდნილი ხალხი მოკლებულია ყოველგვარ ნივთიერ სალსარს, რომ აღმოუჩინოს შესაფერი დახმარება ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას.

სამკითხველოს ერთად ერთი მაცოცხლებელი წყაროს შეადგენს საწევრო გადასახადი, რომლის წლიური შემოსავალიც არ აღემატება 60 მან. გარდა ორიოდე ადგილობრივი გაზეთისა, ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება არავითარი წიგნებ-ჟურნალები, რომლებიც შეადგენენ მიუცილებელ გონებრივ საზრდოს მკითხველი საზოგადოებისთვის. თუმცა თავიდანვე იყო განზრახული ახალი შენობის აგება, მაგრამ, უსახსრობის გამო, ბიბლიოთეკა ჯერ ჯერობით მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში. ასეთია მოკლეთ ჩოჩხათის სამკითხველოს მდგომარეობა.

ამას წინათ ხსენებული ბიბლიოთეკა ინახულა წერა-კითხვის საზოგადოების მეთვალყურემ გ. ბურჯულაძემ, რომელმაც გამოსთქვა სურვილი სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და კიდევაც შეგვპირდა შესაფერი დახმარების აღმოჩენას წერა-კითხვის გამავრც. ს. თანხიდან. ვიმედოვნებთ, რომ გ. ბურჯულაძე სავსებით შესძლებს თავის დაპირების განხორციელებას.

დასასრულ, მოვუწოდებთ განსვენებულ ეგ. ნინოშვილის ყველა პატივის მცემლებს გაუწიონ ხსენებულ სამკითხველოს ნივთიერი დახმარება ფულით თუ ჟურნალ გაზეთებით და წიგნებით და მით ხელი შეუწყონ მას. მეტადრე, მივმართავთ ამ საზოგადოების შვილებს, რომლებიც არიან სხ. და სხ. დაბა ქალაქებში და რომლებსაც აქვთ საშუალება ნივთიერათ დაეხმარონ, ნუ დაზოგავენ თავის წვლილს და ამითი ხელი შეუწყონ თავის სოფელში რომ ფესვები მაგრათ მოიკიდოს ისეთმა დაწესებულებამ, როგორიც არის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო.

გამგეობის დავალებით **კირილე სვანიძე**

P. S. შემოწირულების გაგზავნა შეიძლება ამ მისამართით:

Ст. Супса. Чочхатскому аптекарю Ѳедору Гобронидзе для библіотеки. ქ. ხვ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**


სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკ. გზ. შტოზე.

# სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოზოლაძის

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში